საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№06/13 „23“ იანვარი 2013 წ.

შ.პ.ს. ”სტილი”-ს დირექტორს ქალბატონ ეკეტერინე ჯავახიშვილს.

ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდიდან გ. სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/78) შ.პ.ს. ”სტილი” -ს მიერ დამუშავებულია მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული ნაწილი. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შ.პ.ს. ”არტპალასი” (დირექტორი ჯიმშერ მეფარიშვილი). საპროექტო შენობის მეზობელ ნაკვეთზე (№16/77) მდებარეობს უკვე აშენებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, რომელიც ათ სართულიანია. გზის მხრიდან შენობის სამი სართული იმყოფება მიწის ქვეშ. არსებული შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიან ფილას სისქით h=80სმ. ფილის ძირის ნიშნულია -8.95მ. რაც შეესაბამება გეოდეზიურ ნიშნულს 415.15მ. საძირკვლის ფილის ქვეშ პროექტით მოცემულია B=7.5 კლასის სიმტკიცის ბეტონის მომზადება, შემდეგ 10სმ. სისქის ხრეშის დატკეპნილი ფენა და 100სმ. სისქის მდინარის დატკეპნილი ბალასტი (გეოდეზიური ნიშნულით 413.95მ.).
საპროექტო შენობის კონსტრუქციად მიღებული იქნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანი სისტემა. შენობას გააჩნია ორი მიწისქვეშა სართული იატაკის ნიშნულით -6.0მ; რაც შეესაბამება გეოდეზიურ ნიშნულს 413.6მ. საპროექტო შენობის საძირკვლებად გამოყენებული უნდა იქნას დგარი ტიპის ხიმინჯები, რომლებიც დაეფუძნება ძირითად ქანებს, რომელთა სიღრმე მიწის ზედაპირიდან და მზიდუნარიანობა წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში. არსებულ და საპროექტო შენობებს შორის მანძილი მათი გეგმითი მდებარეობიდან გამომდინარე ცვლადია. მინიმალური მანძილი სინათლეში შეადგენს 180სმ.-ს. განსხვავება არსებული შენობის საძირკვლის ფილის ძირსა და საპროექტო შენობის როსტვერკს შორის მცირეა 155სმ.
შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გენგეგმით განსაზღვრულ ადგილას საპროექტო შენობის მშენებლობა შესაძლებელია და არ გამოიწვევს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას უკვე არსებული შენობისათვის. ქვაბულის დამუშავების

დროს არსებული შენობის საძირკველსა და საპროექტო შენობის როსტვერკს შორის ჩაღრმავებების მცირე სხვაობის გამო, არ გახდება საჭირო განსაკუთრებული საინჟინრო ღონისძიებების გატარება, მხოლოდ გარკვეული აუცილებელი ღონისძიება უნდა იყოს ასახული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/